

ბანკის ბარათების მობილური გადახდების სისტემაში გამოყენების პირობები

1. წინამდებარე პირობების მიზნებისათვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. **აუთენტიფიკაციის მონაცემები** - მობილურ აპლიკაციაში ავტორიზაციისთვის აუცილებელი კლიენტის პაროლი (მ.შ. კლიენტის ბიომეტრიული მონაცემები (თითის ანაბეჭდი, სახის გამოსახულება)), რომელიც დაყენებულია მომსახურების პროვაიდერის გაწერილი წესების შესაბამისად, პინ-კოდი, და ასევე სხვა მონაცემები, რომლებიც გამოიყენება სისტემაზე წვდომის მისაღებად. აუთენტიფიკაციის მონაცემები წარმოადგენენ კლიენტის პირადი ხელმოწერის ანალოგს.
 - 1.2. **უკონტაქტო გადახდა** - გადახდა, განხორციელებული უკონტაქტო წამკითხველი მოწყობილობისა და ციფრული ბარათის გამოყენებით.
 - 1.3. **ინტეგრირებული შესყიდვები** - მობილური აპლიკაციის მეშვეობის განხორციელებული შესყიდვები იმ გამყიდველებისგან, რომლებიც სისტემის მეშვეობით, საკუთარ აპლიკაციებში ან ვებ-გვერდებზე ახორციელებენ მომსახურებებს.
 - 1.4. **თითის ანაბეჭდით ავტორიზაცია** - თითის ანაბეჭდის ამოცნობის ფუნქცია, სისტემაში სხვადასხვა ქმედებების, მ.შ. საგადახდო ოპერაციების დადასტურებისთვის. აღნიშნული ფუნქცია შეიძლება გააქტიურდეს, შეიცვალოს ან გამოირთოს მობილურ მოწყობილობაზე წვდომის მოსაპოვებელი კოდის გამოყენებით.
 - 1.5. **მობილური აპლიკაცია** - პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც კლიენტს საშუალებას აძლევს განახორციელოს უკონტაქტო გადახდები და ინტეგრირებული შესყიდვები.
 - 1.6. **უსადენო კავშირგაბმულობის ოპერატორი** - აღნიშნავს კლიენტისთვის სერვისის მიმწოდებელს, რომელიც უზრუნველყოფს სატელეფონო კავშირის ფიქურ ქსელთან, მხარდაჭერილი მოწყობილობის მუშაობისთვის.
 - 1.7. **საგადახდო მომსახურებები** - სერვისის პროვაიდერის მომსახურებები, რომლებიც გაწერილია სერვის პროვაიდერის წესებსა და პირობებში, და რომელიც მოიაზრებს ციფრული ბარათების გამოყენებით საქონლისა და მომსახურების საფასურის გადახდას.
 - 1.8. **მხარდაჭერილი მოწყობილობა/მოწყობილობა** - ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც შეთავსებადია სერვის პროვაიდერის სისტემებთან და რომელზეც დაყენებულია მობილური აპლიკაცია.
 - 1.9. **სერვის პროვაიდერი** - კომპანია, რომელიც წარმოადგენს მობილური აპლიკაციის ავტორს და რომელთანაც კლიენტმა გააფორმა ხელშეკრულება საგადახდო მომსახურებების მიწოდების შესახებ.
 - 1.10. **სისტემა** - პროგრამული უზრუნველყოფის კომპლექსი, რომელიც მოიცავს მობილურ აპლიკაციას, რომელიც საშუალებას აძლევს კლიენტს ისარგებლოს საგადახდო მომსახურებებით. სისტემაზე ექსკლუზიურ უფლებას ფლობს სერვის პროვაიდერი.
 - 1.11. **სერვის პროვაიდერის წესები და პირობები** - კლიენტსა და სერვისის პროვაიდერს შორის გაფორმებული სალიცენზიო ხელშეკრულება და სერვის პროვაიდერის სხვა წესები და პირობები.
 - 1.12. **ციფრული ბარათი** - საგადახდო ბარათი, რომლის ციფრული ანალოგი კლიენტმა დაარეგისტრირა სისტემაში.
2. ძირითადი დებულებები
 - 2.1. წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია ის წესები და პირობები, რომლებიც არეგულირებენ სისტემაში ბანკის ციფრული ბარათების გამოყენებას.
 - 2.2. წინამდებარე წესებსა და პირობებსა და ბანკსა და კლიენტს შორის საბანკო ანგარიშთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელ „საბანკო ანგარიშით მომსახურების პირობებში“ (განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ - საიტზე (<https://vtb.ge/ge/individuals/agreements>)) (შემდეგ „ხელშეკრულება“) ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულებას.
 - 2.3. წინამდებარე წესები და პირობების განსაზღვრავენ სისტემაზე წვდომისა და კლიენტის ციფრული ბარათის გამოყენების წესებს მხოლოდ ბანკსა და კლიენტს შორის არსებული ურთიერთობის ფარგლებში. მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი, სერვისის პროვაიდერი და მომსახურების სხვა მომწოდებელი მხარეები (მათ შორის ვებ საიტები), რომლებიც ინტეგრირებულნი არიან

საგადახდო მომსახურებების სისტემაში, უფლებამოსილნი არიან დააწესონ საკუთარი წესები და დებულებები (მ.შ. სერვისის პროვაიდერის წესები და პირობები) და კონფიდენციალობის პოლიტიკა.

3. მუშაობის პრინციპი

3.1. გადახდების განხორციელება

3.1.1. სისტემა კლიენტს საშუალებას აძლევს მოწყობილობაში შექმნას ბარათის ციფრული ანალოგი, რათა კლიენტს შეეძლოს განახორციელოს:

3.1.1.1. უკონტაქტო გადახდები ტერმინალების მეშვეობით, სავაჭრო ობიექტებში;

3.1.1.2. მობილურ აპლიკაციაში ინტეგრირებული ან სხვა ციფრული კომერციული ანგარიშსწორება გამყიდველებთან, რომლებიც მიერთებულნი არიან საგადახდო მომსახურებების სისტემაზე.

3.1.2. კლიენტი არეგისტრირებს ბარათს სისტემაში ბარათის რეკვიზიტების მხარდაჭერილ მოწყობილობაში შეყვანის გზით. ბარათის წარმატებული ვერიფიკაციის შემდეგ სისტემა ახდენს მისი ციფრული ანალოგის ფორმირებას.

3.1.3. ბანკი ბარათის კლიენტისათვის კუთვნილებას ადასტურებს კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცედურ(ებ)ით, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ბანკში არსებულ კლიენტის მობილური ტელეფონის ნომერზე სმს შეტყობინების გაგზავნით.

3.1.4. გადახდის განსახორციელებლად, კლიენტი სისტემაში სასურველი ციფრული ბარათის შერჩევასა და მხარდაჭერილი მოწყობილობის სავაჭრო ობიექტში განთავსებულ უკონტაქტო ტერმინალთან ან წამკითხველ მოწყობილობასთან ახლოს განთავსების შემდეგ, ადასტურებს გადახდას, აუთენტიფიკაციის მონაცემების შეყვანის გზით.

3.1.5. ინტეგრირებული შესყიდვის განსახორციელებლად, კლიენტი სისტემაში ირჩევს სასურველ ციფრულ ბარათს და ადასტურებს გადახდას, აუთენტიფიკაციის მონაცემების შეყვანის გზით.

3.2. ინფორმაციისა და გადახდების ნახვა

3.2.1. სისტემა კლიენტს აძლევს წვდომას ციფრული ბარათის შესახებ დაცულ ინფორმაციაზე:

3.2.1.1. ბარათის სტატუსი

3.2.1.2. ციფრული ბარათით განხორციელებული წინა ოპერაციების შესახებ ინფორმაცია: თარიღი, თანხა, გამყიდველის დასახელება. სისტემაში გათვალისწინებულია თითოეული ციფრული ბარათით განხორციელებული ოპერაციის შესახებ შეტყობინებების გათიშვის შესაძლებლობა.

3.2.2. სისტემა ვერ მიაწვდის კლიენტს ინფორმაციას ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც განხორციელდა სისტემის გარეთ.

3.3. კლიენტის უფლებები და მოვალეობები

3.3.1. კლიენტი ვალდებულია დაიცვას სერვის პროვაიდერის წესები და პირობები.

3.3.2. სისტემაში რეგისტრაციამდე, კლიენტი ვალდებულია დარწმუნდეს იმაში, რომ სისტემაში დარეგისტრირებულია მხოლოდ კლიენტის თითის ანაბეჭდები ან სახის ამოცნობის ფუნქცია. ბარათის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების დადასტურებისას გაითვალისწინება მხოლოდ ასეთი თითის ანაბეჭდები ან სახის ამოცნობა. თუ მოწყობილობაზე წვდომის ავტორიზაციისათვის, ან ოპერაციების განხორციელებისთვის გამოიყენება მესამე პირის თითის ანაბეჭდები ან სახის ამოცნობის ფუნქცია (ან აუთენტიფიკაციის მონაცემები), ისინი ჩაითვლება, როგორც კლიენტის აუთენტიფიცირების და ავტორიზაციის საშუალებებად

3.3.3. კლიენტი ვალდებულია საკუთარი აუთენტიფიკაციის მონაცემები შეინახოს მესამე პირების წვდომისგან დაცულ ადგილას.

3.3.4. აუთენტიფიკაციის მონაცემების და/ან ციფრული ბარათის მონაცემების არასასურველი გამჟღავნების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ტელეფონის ნომერზე +995 [32]224 24 24.

3.3.5. თუ კლიენტი საერთოდ და/ან დროულად ვერ აცნობებს ბანკს აუთენტიფიკაციის მონაცემების და/ან ციფრული ბარათის მონაცემების არასასურველი გამჟღავნების შესახებ, ბანკი პასუხს არ აგებს დამდგარ ზიანზე.

3.3.6. კლიენტის ციფრული ბარათის ან/და აუთენტიფიკაციის მონაცემების გამოყენებით, განხორციელებული ოპერაციები ითვლება კლიენტის მიერ განხორციელებულ ოპერაციებად.

3.3.7. კლიენტი უფლებამოსილია, წინამდებარე წესებითა და პირობებით გათვალისწინებული ოპერაციების შესასრულებლად გამოიყენოს ნებისმიერი ბარათი, რომელიც გახსნილია კლიენტის სახელზე და არ არის გაუქმებული ან დაბლოკილი.

3.3.8. კლიენტი უფლებამოსილია ერთი და იგივე ბარათი გამოიყენოს სხვადასხვა სისტემებსა და მობილურ აპლიკაციაში.

3.3.9. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი საგადახდო მომსახურებებით სარგებლობაზე, სისტემიდან ციფრული ბარათის წაშლის გზით.

3.4. ბანკის უფლებები და მოვალეობები

3.4.1. ბანკი უფლებამოსილია უარი განუცხადოს კლიენტს ბარათის რეგისტრაციასა და სისტემაში ციფრული ბარათის შექმნაზე.

3.4.2. ნებისმიერ დროს დაბლოკოს სისტემაში ციფრული ბარათი და მისი გამოყენების შესაძლებლობა:

3.4.2.1. კლიენტის მიერ წინამდებარე წესებითა და პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

3.4.2.2. ციფრული ბარათის და/ ან ბარათის არასანქცირებულად გამოყენების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში;

3.4.2.3. კლიენტის მიერ ხელშეკრულების მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, რის გამოც ბანკს მიადგა ან შესაძლოა მიადგეს ზიანი.

3.4.3. ბანკი არ აგებს კლიენტის წინაშე პასუხს იმ შექმნილ უხერხულობებსა და მიყენებულ ზარალზე, რომლებიც დადგა სავაჭრო ან მომსახურების ობიექტში, POS-ტერმინალში ან ბანკომატში მომსახურებაზე უარის განცხადების ან ტექნიკური შეფერხების გამო, რომელიც არ არის გამოწვეული ბანკის მიზეზით.

3.5. ხელშეკრულებები მესამე მხარეებთან

3.5.1. წინამდებარე წესები და პირობები ვრცელდება მხოლოდ კლიენტის მიერ ციფრული ბარათ(ებ)ის გამოყენების შემთხვევებზე. მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი, სერვისის პროვაიდერი და მომსახურების სხვა მომწოდებელი მხარეები, (მათ შორის ვებ საიტები), რომლებიც ინტეგრირებულნი არიან საგადახდო მომსახურებების სისტემაში, აფორმებენ საკუთარ ხელშეკრულებებს კლიენტთან. ამასთანავე, კლიენტი აგრეთვე ვალდებულია შეასრულოს მესამე მხარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები მათთვის საკუთარი პირადი მონაცემების გამჟღავნების, მათი შემოთავაზებული მომსახურებების გამოყენების ან შესაბამის საიტებზე ვიზიტებისას. ბანკი პასუხს არ აგებს სერვის პროვაიდერის ან მესამე მხარეების ხელშეკრულებების სიზუსტეზე, კანონიერებაზე, გამოსადეგობასა და სხვა ასპექტებზე ან მათი პროდუქტების ან მომსახურებების ფუნქციონირებაზე.

3.5.2. კლიენტი ვალდებულია მესამე მხარეებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებს გაეცნოს სისტემაში ციფრული ბარათის შექმნამდე, აქტივაციამდე ან გამოყენებამდე.

3.5.3. მესამე მხარეების ნებისმიერი აპარატულ ან პროგრამული უზრუნველყოფასთან, ან/და სხვა პროდუქტებთან და მომსახურებასთან მიმართებაში (მ.შ. სისტემა და მხარდაჭერილი მოწყობილობა) ბანკი არ აგებს პასუხს და არ ახორციელებს მათ ტექნიკურ მხარდაჭერას ან ხელშეწყობას. მესამე მხარის პროდუქტების ან მომსახურებების გამოყენებასთან დაკავშირებით რაიმე კითხვის გაჩენის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია, შესაბამისი მხარდაჭერისა და დახმარების მისაღებად, დაუკავშირდეს თავად აღნიშნულ მესამე მხარეს. თუ კლიენტს კითხვები გაუჩნდება სისტემის (გარდა ციფრული ბარათისა) გამოყენებასთან დაკავშირებით, მან უნდა მიმართოს თავად სისტემის მხარდაჭერის სამსახურს.

3.6. მომსახურებების ღირებულება

3.6.1. მომსახურების ლიმიტები და ტარიფები განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე და წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის არსებით შემადგენელ ნაწილს.

3.6.2. კლიენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ მესამე მხარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვა სახის შეთანხმებები შესაძლოა ითვალისწინებდნენ ისეთ გადასახადებს, შეზღუდვებსა და აკრძალვებს, რომლებიც შესაძლებელია აისახოს ნებისმიერი ციფრული ბარათის

გამოყენებაზე. მაგალითად, მონაცემთა გამოყენება, ან ტექსტური შეტყობინების გაგზავნის საფასური, რომელსაც აკისრებს უსადენო კავშირგაბმულობის ოპერატორი. კლიენტი იღებს ვალდებულებას, რომ ერთპიროვნულად აგებს პასუხს ასეთის გადასახადების გადახდასა და ყველა შეზღუდვისა და აკრძალვის დაცვაზე.

3.7. დავათა გადაწყვეტა

3.7.1. წინამდებარე წესებთან და პირობებთან ან ნებისმიერ ციფრულ ბარათთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, რეგულირდება ხელშეკრულებაში გაწერილი შესაბამისი დებულების საფუძველზე.

4. კონფიდენციალობა და უსაფრთხოება

4.1. პირადი ინფორმაცია

4.1.1. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ბანკი უფლებამოსილია შეაგროვოს, დაამუშავოს და გამოიყენოს მასთან დაკავშირებული ტექნიკური და პირადი ინფორმაცია, მ.შ. არ შემოიფარგლოს მოწყობილობის შესახებ მონაცემებით, რათა უზრუნველყოს:

4.1.1.1. ბანკის პროდუქტებისა და მომსახურებების განახლება და გაუმჯობესება;

4.1.1.2. მიწოდებული მომსახურებების უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება;

4.1.1.3. თაღლითობის ფაქტების აღკვეთა.

4.1.2. კლიენტი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ ბანკი არ იძლევა კავშირგაბმულობის არხებით, სმს შეტყობინებით, USSD-სერვისით ან/და სხვა არხებით გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის გარანტიას.

4.1.3. კლიენტი აღიარებს, რომ ბანკი არ აგებს პასუხს, თუ მესამე პირებისთვის ცნობილი გახდება ინფორმაცია კლიენტის ანგარიშის და/ან ბარათის (ყველა იმ ბარათის შესახებ, რომელთა გამოყენებითაც ხორციელდება ოპერაციები ანგარიშზე) შესახებ, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია კლიენტს გადაეცემა დისტანციური არხებით და გამოიყენება კლიენტის/ კლიენტის წარმომადგენლის მიერ ბანკისთვის მიწოდებული რეკვიზიტები (მობილური ტელეფონის ნომრები, ელ-ფოსტის მისამართები, პაროლები ან კოდური სიტყვები და სხვ.).

4.1.4. პერსონალური მონაცემების გამოყენებისა და გადაცემის სხვა საკითხები რეგულირდება წინამდებარე წესებისა და პირობებისა და ხელშეკრულების შესაბამისად.

4.1.5. კლიენტი თანხმობას აცხადებს მისი პერსონალური მონაცემები გადაეცეს სერვის პროვაიდერს ან/და მის აფილირებულ პირებს.

4.2. ინფორმაცია, რომელსაც აგროვებენ სხვა პირები

4.2.1. ბანკი პასუხს არ აგებს სისტემის ან სხვა სერვის პროვაიდერის მიერ გაწეულ მომსახურებებზე. ამდენად, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც აგროვებს სერვის პროვაიდერი კლიენტის მიერ ციფრული ბარათის ან სისტემის გამოყენებისას, რეგულირდება სერვის პროვაიდერის წესებითა და პირობებით და მესამე მხარეებთან ხელშეკრულებებით, მაგრამ არა წინამდებარე წესებითა და პირობებით, ხელშეკრულებით.

4.3. კლიენტის მხარდაჭერილი მოწყობილობის დაკარგვა, მოპარვა ან არასანქცირებული გამოყენება

4.3.1. მხარდაჭერილი მოწყობილობის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში, ციფრული ბარათის ან მისი რეკვიზიტების ან სისტემის კომპრომეტირების ან/და კლიენტის ნებართვის გარეშე გამოყენების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ტელეფონის ნომერზე +995 [32]224 24 24.

4.3.2. აუთენტიფიკაციის მონაცემების კომპრომეტირების ან აღნიშნულზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეცვალოს პირადი უსაფრთხოებისა და აუთენტიფიკაციის მონაცემები და დარწმუნდეს იმაში, რომ მოწყობილობაში დარეგისტრირებულია მხოლოდ ნებადართული თითის ანაბეჭდები ან სახის გამოსახულება, რათა თავიდან იქნას აცილებული ციფრული ბარათის ან პირადი ინფორმაციის ნებისმიერი სახის არასანქცირებული გამოყენება.

4.3.3. ახალი მოწყობილობის მიღებისას, კლიენტი ვალდებულია დარწმუნდეს იმაში, რომ ძველ მოწყობილობაში წაშლილია ყველა ციფრული ბარათი და სხვა სახის პირადი ინფორმაცია.

4.3.4. სისტემაში და/ან მობილურ აპლიკაციაში შესაძლოა გამოიყენებოდეს უსაფრთხოების გარკვეული ფუნქციები, რომლებიც იცავს ციფრულ ბარათს არასანქცირებული გამოყენებისგან. პასუხისმგებლობა აღნიშნულ ფუნქციების გამართულად მუშაობაზე ეკისრება მხოლოდ სერვის პროვაიდერს. კლიენტი კისრულობს ვალდებულებას არ გამორთოს აღნიშნული ფუნქციები და გამოიყენოს ეს ფუნქციები და შესაბამისი უსაფრთხოების ღონისძიებები ყველა ციფრული ბარათის დასაცავად.

4.4. სისტემის პაროლების, სხვა აუთენტიფიკაციის მონაცემების და ციფრული ბარათების დაცვა

4.4.1. კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს პირადი უსაფრთხოებისა და აუთენტიფიკაციის მონაცემების კონფიდენციალობა. კლიენტი ვალდებულია ისინი, ისევე როგორც მხარდაჭერილი მოწყობილობა, დაიცვას იმავე სახით, როგორც იცავს საბანკო ბარათებსა და სხვა მონაცემებს, ნომრებსა და პაროლებს, რომლებიც ადასტურებენ კლიენტის ვინაობას.

4.4.2. ბანკი იძლევა მკაცრ რეკომენდაციას, რომ კლიენტმა შეინახოს ციფრული ბარათების უსაფრთხოების მონაცემები, სხვა მონაცემებისგან განცალკევებით, ასევე არ შეინახოს საგადახდო ბარათები მხარდაჭერილ მოწყობილობასთან ერთად.

4.4.3. კლიენტის მიერ სისტემაში რეგისტრაციის შესახებ სმს შეტყობინებას ან ელექტრონული ფოსტით წერილის მიღების შემთხვევაში, მაშინ, როდესაც კლიენტს ეს არ განუხორციელებია, ან თუ მობილურ აპლიკაციაში არსებულ ბარათის ამონაწერში აღმოჩნდება შეცდომა ან უზუსტობა, კლიენტმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ბანკს ტელეფონის ნომერზე +995 [32]224 24 24.

5. ფუნქციების შეჩერება, გაუქმება და ცვლილება

5.1. სერვის პროვაიდერი იტოვებს უფლებას ბანკისათვის შეტყობინების გარეშე დაბლოკოს, შეზღუდოს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს კლიენტის მიერ ციფრული ბარათით სარგებლობის შესაძლებლობა და/ან შეცვალოს სისტემის ფუნქციები. კლიენტი ადასტურებს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ბანკი არ აგებს პასუხს კლიენტის ან მესამე მხარის წინაშე.

5.2. ციფრული ბარათის დროებითი ბლოკირების ან შეჩერების აღკვეთის შემდეგ კლიენტი შეძლებს განაგრძოს სისტემის მომსახურებებით სარგებლობას, შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ.

5.3. კლიენტი უფლებამოსილია წაშალოს ციფრული ბარათი სისტემიდან მოწყობილობაში შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ ან ბანკთან დაკავშირების გზით. აღნიშნულ გარემოებაში, კლიენტი ნებას რთავს ბანკს განაგრძოს ციფრული ბარათთან დაკავშირებული ნებისმიერი შეუსრულებელი დავალების დამუშავება.

6. შეფერხება საგადახდო მომსახურებების მიწოდებაში

6.1. ციფრულ ბარათზე წვდომა, მისი გამოყენება და მომსახურება დამოკიდებულია სისტემის მომსახურებების მოცულობასა და უსადენო კავშირგაბმულობის ოპერატორის ქსელზე. ბანკი არ წარმოადგენს სისტემის მომსახურებების ან აღნიშნული ქსელის ოპერატორს და არ აკონტროლებს მათ მუშაობას. ბანკის კლიენტის წინაშე პასუხს არ აგებს რაიმე გარემოებაზე, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს, შეზღუდოს ან სხვა სახით აისახოს ნებისმიერი ციფრული ბარათის ფუნქციონირებაზე, მ.შ. სისტემის მომსახურებების ან უსადენო კავშირის, კომუნიკაციების მიუწვდომლობაზე, ქსელის შეფერხებაზე, უსადენო დაფარვის შეზღუდვებზე, სისტემაში წარმოქმნილ ხარვეზებსა და უსადენო კავშირის გაწყვეტაზე.

6.2. ციფრული ბარათის გამოყენება ითვალისწინებს პირადი ინფორმაციის ელექტრონული სახით გადაცემას მესამე მხარის ქსელის მეშვეობით. გამომდინარე იქიდან, რომ ბანკი არ ახორციელებს მსგავსი ტიპის ქსელების ექსპლუატაციას ან კონტროლს, იგი ვერ იძლევა ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალობისა და უსაფრთხოების გარანტიას.

კლიენტის მოწყობილობიდან ბანკისთვის ან ბანკისგან ინტერნეტის ქსელის მეშვეობით გაგზავნილ პირად ან კონფიდენციალურ ინფორმაციასთან მიმართებაში, ბანკი იტოვებს უფლებას შეზღუდოს ასეთი ტიპის საკომუნიკაციო კავშირები, რომლებიც მყარდება გადაცემის უსაფრთხოების დონის ან ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა უსაფრთხოების სტანდარტის გამოყენებით. ბანკს შეუძლია კომუნიკაცია განახორციელოს სმს შეტყობინებების ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

7. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

7.1. კლიენტი ინფორმირებულია და თანხმობას აცხადებს, რომ სისტემის და ციფრული ბარათის ფუნქციები შესაძლებელია განახლდნენ ავტომატურად, კლიენტისათვის დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ბანკს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, მიიღოს გადაწყვეტილება ციფრული ბარათისთვის განსაზღვრული ოპერაციების სახეობებისა და/ან მოცულობების გაფართოების, შემცირების ან შეჩერების ან რეგისტრაციის პროცედურის შეცვლის შესახებ.

7.2. ბანკისთვის ყველა ბარათის დაბრუნებისა და ანგარიშის დახურვის შემდეგ, კლიენტი არ თავისუფლდება იმ ოპერაციების თანხისა და მათთან დაკავშირებული საკომისიოების გადახდის ვალდებულებისა და მათთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან, რომლებიც კლიენტმა განახორციელა მობილური აპლიკაციის გამოყენების პერიოდში.

8. წინამდებარე წესებსა და პირობებში ცვლილებების შეტანა

8.1. ბანკი იტოვებს უფლებას, მოახდინოს წინამდებარე წესებისა და პირობების გადახედვა. წინამდებარე წესებსა და პირობებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ბანკი კლიენტს ატყობინებს წინამდებარე წესებსა და პირობებში მითითებული კომუნიკაციის ნებისმიერი არხით, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით. თუ კლიენტი არ ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულებაში შესატან რომელიმე ცვლილებას, მას შეუძლია სისტემიდან წაშალოს ციფრული ბარათი, ამასთანავე კლიენტი ნებას რთავს ბანკს განაგრძოს ასეთი ტიპის ციფრულ ბარათთან დაკავშირებული, სისტემიდან ციფრული ბარათის წაშლის მომენტისთვის შეუსრულებელი დავალების დამუშავება.

8.2. ბანკის მიერ ახალი წესებისა და პირობების დადგენის შემდეგ, ციფრული ბარათის მეშვეობით საგადახდო ოპერაციის შესრულება ჩაითვლება კლიენტის თანხმობად მათ გამოყენებაზე.

9. კომუნიკაცია

9.1. სისტემაში ბარათის რეგისტრირებით, კლიენტი ეთანხმება წინამდებარე წესებსა და პირობებს არსებული სახით.

9.2. კლიენტი აგრეთვე თანხმობას აცხადებს მიიღოს ბანკის მიერ გაგზავნილი საინფორმაციო და სხვა ტიპის შეტყობინებები, რომლებიც შეეხება სისტემის მომსახურებებს და რომელთა გამოსაგზავნად გამოიყენება კომუნიკაციის შემდეგი არხები;

9.2.1. ელექტრონული ფოსტა. ინფორმირება ხდება კლიენტის მიერ ანგარიშის გახსნის განაცხადში მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე;

9.2.2. სმს შეტყობინება. ინფორმირება ხორციელდება კავშირგაბმულობის ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერზე, რომელსაც კლიენტი მიუთითებს ანგარიშის გახსნის განაცხადში

9.2.3. Push შეტყობინებები მოწყობილობაში;

9.2.4. სისტემის სხვა შესაძლებლობების გამოყენებით.

10. სხვა დებულებები

10.1. მოწყობილობების მხარდაჭერასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, კლიენტმა უნდა მიმართოს პირდაპირ სერვის პროვაიდერს.

10.2. სისტემის მომსახურებებთან დაკავშირებული ნებისმიერი შეზღუდვის ან ლიმიტის და ასევე პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფისადმი მინიმალური მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, კლიენტმა უნდა მიმართოს პირდაპირ სერვის პროვაიდერს.

10.3. მოწყობილობის, სისტემის ან ინტერნეტ ქსელის გამოყენებასთან დაკავშირებულ კონფიდენციალობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად, კლიენტმა უნდა მიმართოს სერვის პროვაიდერს ან უსადენო კავშირგაბმულობის ქსელის ოპერატორს.